ხელშეკრულება № 15

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **30 იანვარი 2015 წელი.**

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - „**შემსყიდველი**“), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის **გიორგი კურტანიძის** სახით და შპს „**იუ-ჯი-თი**” (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი მაისურაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და „კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენელისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე“ 2015 წლის 20 იანვრის საქართველოს მთავრობის N38 განკარგულების, 2015 წლის 23 იანვარს საქართველოს მთავრობასა და კომპანია მაიკროსოფტს (Microsoft Ireland Operations Ltd) შორის გაფორმებული Business and Services Agreement (შემდგომში - „MBSA შეთანხმება“); Enterprise Agreement; 2015 წლის 30 იანვრის Get Genuine Windows Agreement for Large Organizations (Indirect) (შემდგომში - „GGWA შეთანხმება“) ხელშეკრულებების, 2015 წლის 30 იანვარს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და კომპანია მაიკროსოფტს (Microsoft Ireland Operations Ltd) შორის გაფორმებული Enterprise Enrollment (Indirect) - X20-10471“, „Discount Transparency Disclosure Form - X20-12769“, „Product Selection Form – Specialized profile – CTM“ „Effective Date Amendment ID M23 – M23 ხელშეკრულებების საფუძველზე ვთანხმდებით:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „ლიცენზია“ ან „ლიცენზიები“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
7. „მწარმოებელი“ – კომპანია მაიკროსოფტი (Microsoft Ireland Operations Ltd);
8. „მომხმარებელი“ – შემსყიდველის ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების კუთვნილი მოწყობილობა ან მათთან დასაქმებული ფიზიკური პირი, რომელიც ისარგებლებს „ლიცენზიით“.
9. „ბენეფიტები“ – მწარმოებლის მიერ დაწესებული დამატებითი უსასყიდლო სარგებელი (benefits), რომელთა განმარტება მოცემულია „MBSA შეთანხმებაში“.
10. „Planning Services“ (დაგეგმარების სერვისები) - ბენეფიტი, რომელიც გულისხმობს მისი გამოყენების შემთხვევაში მაიკროსოფტის სისტემების, სერვერული პროდუქტებისა და ქლაუდ სერვისების დაგეგმარების მომსახურებას;
11. „Training Vouchers“ (სწავლების ვაუჩერი) - ბენეფიტი, რომელიც გულისხმობს აიტი პროფესიონალებისა და აიტი დეველოპერების სწავლებას.
12. „სალიცენზიო პირობები“ - მწარმოებლის მიერ დადგენილი, „MBSA შეთანხმებით“ გათვალისწინებული პირობები მწარმოებლის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

2. ლიცენზიების აღწერა

1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1-ით გათვალისწინებული ლიცენზიები უზრუნველყოფს 10000 (ათიათასი) კომპიუტერულ მოწყობილობაზე არსებული Windows ოპერაციული სისტემის ლიცენზირებას შემსყიდველსა და მწარმოებელს შორის გაფორმებული GGWA შეთანხმების და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
2. მწარმოებლის სალიცენზიო პირობებისა და MBSA შეთანხმების შესაბამისად დანართ N2-ში მოცემული ლიცენზიები აძლევს შემსყიდველს ამავე ლიცენზიებით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობის უფლებას პირველი წლის განმავლობაში, დანართ N3-ში მოცემული ლიცენზიები აძლევს შემსყიდველს ამავე ლიცენზიებით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობის უფლებას მეორე წლის განმავლობაში, ხოლო დანართ N4-ში მოცემული ლიცენზიები შემსყიდველს აძლევს ამავე ლიცენზიებით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფით უვადოდ სარგებლობის უფლებას.

3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1, N2, N3 და N4-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდება (CPV48620000)

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების დანართი, N1, N2, N3 და N4-ით გათვალისწინებული ლიცენზიების შემსყიდველისათვის მიწოდება უზრუნველყოს პერიოდულად 3 (სამი) ეტაპად: კერძოდ, დანართი N1, N2-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მოწოდება ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, დანართი N3-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მოწოდება უზრუნველყოს დანართი N2-ით გათვალისწინებული ლიცენზიების გადაცემიდან 1 (ერთი) წლის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და დანართი N4-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მოწოდება დანართი N3-ით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდებიდან 1 (ერთი) წლის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (True-Up Report) ანგარიშის შედგენისას, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს შემსყიდველის დახმარება აღნიშნული ანაგარიშის შედგენაში. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის წარმომადგენლების დაშვებას თავის სისტემებთან და ხელს შეუწყობს მიმწოდებლის მიერ ანგარიშის შედგენას.

გ) წარუდგინოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით და N2-ით გათვალისწინებული ლიცენზიების ღირებულების შესაბამისი ოდენობის საავანსო საბანკო გარანტია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, რომელიც უნდა მოქმედებდეს მისი წარმოდგენისთანავე და რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს ამავე დანართებით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდების ვადას, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N3 და N4-ით გათვალიწინებული ლიცენზიების ღირებულების შესაბამისი საავანსო საბანკო გარანტიების წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე, რომელიც უნდა მოქმედებდეს მისი წარმოდგენისთანავე და რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდების ვადას.

დ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს შემსყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიების ახალი ვერსიების (განახლებების) გადმოტვირთვისა და გამოყენების შესაძლებლობებით;

ე) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს შემსყიდველისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ბენეფიტების აქტივაცია და ამ ბენეფიტებით გათვალისწინებული სერვისების უზრუნველყოფა;

ვ) წარუდგინოს შემსიყდველს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, აშშ დოლარში, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

ზ) შემსყიდველის, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციისგან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მედ-5 პუნქტის შესაბამაბისად მიღებული მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს შემსყიდველი და საბიუჯეტო ორგანიზაციები შესაბამისი ბენეფიტებით (Planning Services და Training Vouchers).

2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მწარმოებლის (Microsoft) მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს შემსყიდველისათვის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის პროგრამულ უზრუნველყოფაზე მინიჭებული სარგებლობის უფლების ტიპისა და რაოდენობის აუდიტი.

3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ბ) MBSA შეთანხმების შესაბამისად ყოველწლიურად (წინამდებრე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 11 თვის, 23 თვის და 35 თვისა) გაუგზავნოს მიმწოდებელს ანგარიში (True-Up Report), რომლის მწარმოებლისთვის გადაცემას განახორციელებს მიმწოდებელი. რომელშიც მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გასული პერიოდის განმავლობაში დამატებული მომხმარებლების რაოდენობებისა და გამოყენებული პროგრამების შესახებ.

გ) ბენეფიტების Planning Services და Training Vouchers - გააქტიურებისა და სერვისების მიღების სურვილის შემთხვევაში მიმართოს მიმწოდებელს;

დ) „MBSA შეთანხმების" და „კომპანია Microsoft-ის ოფიციალური წარმომადგენელისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე" 2015 წლის 20 იანვრის საქართველოს მთავრობის N38 განკარგულების შესაბამისად, სხვადსხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოს ლიცენზიების გადაცემა სხვადსხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.

ე) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში წარუდგინოს მიმწოდებელს სრული ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გადასაცემი ლიცენზიების რაოდენობის და ტიპის შესახებ.

4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1, N2, N3 და N4-ით გათვალისწინებული ლიცენზიების გააქტიურებას შემსყიდველის სახელზე ახორციელებს მწარმოებელი. აღნიშნულის თაობაზე შეტყობინებას და ინსტრუქციას (თუ როგორ უნდა შეიქმნას შემსყიდველის პირადი პორტალი, როგორ იმართოს ლიცენზიები და სხვ...) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით

მწარმოებელი მისი ელექტრონული მისამართიდან Microsoft Volume Licensing Services [msvlop@microsoft.com] უგზავნის მიმწოდებელს და შემსყიდველს, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;

5. შემსყიდველი, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მედ-3 პუნქტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ისარგებლებენ გადაცემული ლიცენზიების რაოდენობის პროპორციული ბენეფიტებით. მათ შორის Planning Services და Training Vouchers, რომელთა გააქტიურებისა და სერვისების მიღების სურვილის შემთხვევაში მიმართავენ მიმწოდებელს.

6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი: Licensing@ugt.ge; შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: microsoft@mof.ge) მეშვეობით აწარმოონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა.

5. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **19,287,100.00 (ცხრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ასი)** აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც ლიცენზიების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

6. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული ღირებულება.

8. მიღება-ჩაბარების წესი

ლიცენზიების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის საფუძველზე.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. ანგარიშწორება ხორციელდება ავანსად, ეტაპობრივად, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, შემდეგი ოდენობებით:

ა) პირველი ეტაპის 7,451,700.00 (შვიდი მილიონ ოთხასორმოცდათერთმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით;

ბ) მეორე ეტაპის 5,917,700.00 (ხუთი მილიონ ცხრაასჩვიდმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით;

გ) მესამე ეტაპის 5,917,700.00 (ხუთი მილიონ ცხრაასჩვიდმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით;

3. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. საავანსო საბანკო გარანტია

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის შესაბამისი ეტაპით განსაზღვრული თანხის 0.1%-ის ოდენობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10 (ათი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

2. შემსყიდველი უფლებამოსილია ასევე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან;

4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

5. ხელშეკრულების შეწყვეტისას, ლიცენზიებით შემდგომი სარგებლობის, შეცვლისა და გაუქმების საკითხები რეგულირდება MBSA შეთანხმებისა და მწარმოებლის სალიცენზიო პირობების შესაბამისად;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2017 წლის 25 მარტის** ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

18. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

19. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, **მისამართი**: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, **ტელეფონი**: **226-10-72 226-16-28,** **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707907143 **სკ**-204577813.	**შპს „იუ-ჯი-თი“,** **მისამართი:** საქართველოო, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N17ა, **ტელეფონი: 222-05-05,** **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. #GE88BG0000000261644601, სს „საქართელოს ბანკი“, კოდი BAGAGE22, **სკ**-204892964

Genuine OS Licensing

დასახელება	რ-ბა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
Genuine Windows Agreement for Large Organizations	10,000	$ 130.00	$ 1,300,000.00
		ჯამი:	$1,300,000.00
		დღგ (18%):	$ 234,000.00
		სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:	$ 1,534,000.00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

პირველი ეტაპი (ლიცენზიების გამოყენების უფლება პირველი წლით)

Enterprise Licensing

დასახელება	რ-ბა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
Enterprise Desktop (Enterprise Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	11,000	$ 145.00	$ 1,595,000.00
Professional Desktop (Core Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	20,000	$ 125.00	$ 2,500,000.00
Prjct ALNG LicSAPk MVL	428	$ 111.70	$ 47,807.60
VisioPro ALNG LicSAPk MVL	1	$ 95.50	$ 95.50
VisioStd ALNG LicSAPk MVL	182	$ 49.50	$ 9,009.00
VSProwMSDN ALNG LicSAPk MVL	37	$ 171.00	$ 6,327.00
BztlkSvrEnt ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	10	$ 4,100.00	$ 41,000.00
BztlkSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	1	$ 940.00	$ 940.00
CISStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 311.00	$ 311.00
DynAX ALNG LicSAPk MVL Svr	1	$ 2,177.00	$ 2,177.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL EntAdd	1	$ 314.00	$ 314.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL Fnctnl	1	$ 210.00	$ 210.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL SelfServe	1	$ 16.00	$ 16.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL TaskAdd	1	$ 37.00	$ 37.00
DynCRMBasicAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 44.00	$ 44.00
DynCRMBasicCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 57.00	$ 57.00
DynCRMESSCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 13.20	$ 13.20
DynCRMProAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 106.40	$ 106.40
DynCRMSvr ALNG LicSAPk MVL	1	$ 817.00	$ 817.00
ExchgSvrEnt ALNG LicSAPk MVL	17	$ 751.00	$ 12,767.00
ExchgSvrStd ALNG LicSAPk MVL	26	$ 132.00	$ 3,432.00
FrfrntIdnttyMgr ALNG LicSAPk MVL	1	$ 2,751.60	$ 2,751.60
LyncSvr ALNG LicSAPk MVL	12	$ 675.00	$ 8,100.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 20.00	$ 20.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL forECAL DvcCAL	1	$ 16.00	$ 16.00
PrjctSvr ALNG LicSAPk MVL	10	$ 1,050.40	$ 10,504.00
SharePointSvr ALNG LicSAPk MVL	15	$ 1,260.40	$ 18,906.00
SQLCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	371	$ 39.00	$ 14,469.00
SQLSvrEntCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	169	$ 2,550.00	$ 430,950.00
SQLSvrStd ALNG LicSAPk MVL	18	$ 166.00	$ 2,988.00
SQLSvrStdCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	39	$ 665.00	$ 25,935.00
SysCtrDatactr ALNG LicSAPk MVL 2Proc	13	$ 445.00	$ 5,785.00
SysCtrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 161.50	$ 161.50
VSTeamFndtnSvr ALNG LicSAPk MVL	4	$ 72.00	$ 288.00
VSTeamFndtnSvrCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	47	$ 72.00	$ 3,384.00
WinRghtsMgmtSrvcsCAL WinNT ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 7.00	$ 7.00
WinRmtDsktpSrvcsCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 19.70	$ 19.70
WinSvrDataCtr ALNG LicSAPk MVL 2Proc	227	$ 1,143.50	$ 259,574.50
WinSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	65	$ 164.00	$ 10,660.00
		ჯამი:	$ 5,015,000.00
		დღგ (18%):	$ 902,700.00
		სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:	$ 5,917,700.00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მეორე ეტაპი (ლიცენზიების გამოყენების უფლება მეორე წლით)

Enterprise Licensing

დასახელება	რ-ბა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
Enterprise Desktop (Enterprise Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	11,000	$ 145.00	$ 1,595,000.00
Professional Desktop (Core Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	20,000	$ 125.00	$ 2,500,000.00
Prjct ALNG LicSAPk MVL	428	$ 111.70	$ 47,807.60
VisioPro ALNG LicSAPk MVL	1	$ 95.50	$ 95.50
VisioStd ALNG LicSAPk MVL	182	$ 49.50	$ 9,009.00
VSProwMSDN ALNG LicSAPk MVL	37	$ 171.00	$ 6,327.00
BztlkSvrEnt ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	10	$ 4,100.00	$ 41,000.00
BztlkSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	1	$ 940.00	$ 940.00
CISStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 311.00	$ 311.00
DynAX ALNG LicSAPk MVL Svr	1	$ 2,177.00	$ 2,177.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL EntAdd	1	$ 314.00	$ 314.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL Fnctnl	1	$ 210.00	$ 210.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL SelfServe	1	$ 16.00	$ 16.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL TaskAdd	1	$ 37.00	$ 37.00
DynCRMBasicAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 44.00	$ 44.00
DynCRMBasicCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 57.00	$ 57.00
DynCRMESSCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 13.20	$ 13.20
DynCRMProAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 106.40	$ 106.40
DynCRMSvr ALNG LicSAPk MVL	1	$ 817.00	$ 817.00
ExchgSvrEnt ALNG LicSAPk MVL	17	$ 751.00	$ 12,767.00
ExchgSvrStd ALNG LicSAPk MVL	26	$ 132.00	$ 3,432.00
FrfrntIdnttyMgr ALNG LicSAPk MVL	1	$ 2,751.60	$ 2,751.60
LyncSvr ALNG LicSAPk MVL	12	$ 675.00	$ 8,100.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 20.00	$ 20.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL forECAL DvcCAL	1	$ 16.00	$ 16.00
PrjctSvr ALNG LicSAPk MVL	10	$ 1,050.40	$ 10,504.00
SharePointSvr ALNG LicSAPk MVL	15	$ 1,260.40	$ 18,906.00
SQLCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	371	$ 39.00	$ 14,469.00
SQLSvrEntCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	169	$ 2,550.00	$ 430,950.00
SQLSvrStd ALNG LicSAPk MVL	18	$ 166.00	$ 2,988.00
SQLSvrStdCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	39	$ 665.00	$ 25,935.00
SysCtrDatactr ALNG LicSAPk MVL 2Proc	13	$ 445.00	$ 5,785.00
SysCtrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 161.50	$ 161.50
VSTeamFndtnSvr ALNG LicSAPk MVL	4	$ 72.00	$ 288.00
VSTeamFndtnSvrCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	47	$ 72.00	$ 3,384.00
WinRghtsMgmtSrvcsCAL WinNT ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 7.00	$ 7.00
WinRmtDsktpSrvcsCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 19.70	$ 19.70
WinSvrDataCtr ALNG LicSAPk MVL 2Proc	227	$ 1,143.50	$ 259,574.50
WinSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	65	$ 164.00	$ 10,660.00
		ჯამი:	$ 5,015,000.00
		დღგ (18%):	$ 902,700.00
		სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:	$ 5,917,700.00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მესამე ეტაპი (ლიცენზიების უვადოდ გამოყენების უფლება)

Enterprise Licensing

დასახელება	რ-ბა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
Enterprise Desktop (Enterprise Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	11,000	$ 145.00	$ 1,595,000.00
Professional Desktop (Core Client Access, Office Professional plus, Windows Enterprise Upgr.)	20,000	$ 125.00	$ 2,500,000.00
Prjct ALNG LicSAPk MVL	428	$ 111.70	$ 47,807.60
VisioPro ALNG LicSAPk MVL	1	$ 95.50	$ 95.50
VisioStd ALNG LicSAPk MVL	182	$ 49.50	$ 9,009.00
VSProwMSDN ALNG LicSAPk MVL	37	$ 171.00	$ 6,327.00
BztlkSvrEnt ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	10	$ 4,100.00	$ 41,000.00
BztlkSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	1	$ 940.00	$ 940.00
CISStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 311.00	$ 311.00
DynAX ALNG LicSAPk MVL Svr	1	$ 2,177.00	$ 2,177.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL EntAdd	1	$ 314.00	$ 314.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL Fnctnl	1	$ 210.00	$ 210.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL SelfServe	1	$ 16.00	$ 16.00
DynAX ALNG LicSAPk MVL UsrCAL TaskAdd	1	$ 37.00	$ 37.00
DynCRMBasicAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 44.00	$ 44.00
DynCRMBasicCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 57.00	$ 57.00
DynCRMESSCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 13.20	$ 13.20
DynCRMProAddCAL ALNG LicSAPk MVL UsrCAL	1	$ 106.40	$ 106.40
DynCRMSvr ALNG LicSAPk MVL	1	$ 817.00	$ 817.00
ExchgSvrEnt ALNG LicSAPk MVL	17	$ 751.00	$ 12,767.00
ExchgSvrStd ALNG LicSAPk MVL	26	$ 132.00	$ 3,432.00
FrfrntIdnttyMgr ALNG LicSAPk MVL	1	$ 2,751.60	$ 2,751.60
LyncSvr ALNG LicSAPk MVL	12	$ 675.00	$ 8,100.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 20.00	$ 20.00
LyncSvrPlusCAL ALNG LicSAPk MVL forECAL DvcCAL	1	$ 16.00	$ 16.00
PrjctSvr ALNG LicSAPk MVL	10	$ 1,050.40	$ 10,504.00
SharePointSvr ALNG LicSAPk MVL	15	$ 1,260.40	$ 18,906.00
SQLCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	371	$ 39.00	$ 14,469.00
SQLSvrEntCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	169	$ 2,550.00	$ 430,950.00
SQLSvrStd ALNG LicSAPk MVL	18	$ 166.00	$ 2,988.00
SQLSvrStdCore ALNG LicSAPk MVL 2Lic CoreLic	39	$ 665.00	$ 25,935.00
SysCtrDatactr ALNG LicSAPk MVL 2Proc	13	$ 445.00	$ 5,785.00
SysCtrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	1	$ 161.50	$ 161.50
VSTeamFndtnSvr ALNG LicSAPk MVL	4	$ 72.00	$ 288.00
VSTeamFndtnSvrCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	47	$ 72.00	$ 3,384.00
WinRghtsMgmtSrvcsCAL WinNT ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 7.00	$ 7.00
WinRmtDsktpSrvcsCAL ALNG LicSAPk MVL DvcCAL	1	$ 19.70	$ 19.70
WinSvrDataCtr ALNG LicSAPk MVL 2Proc	227	$ 1,143.50	$ 259,574.50
WinSvrStd ALNG LicSAPk MVL 2Proc	65	$ 164.00	$ 10,660.00
		ჯამი:	$ 5,015,000.00
		დღგ (18%):	$ 902,700.00
		სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:	$ 5,917,700.00

შემსყიდველი **მიმწოდებელი**